პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 20
(7331)

29
1983 წ.
იანვარი,
შაბათი.
ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
18 აპრილიდან

თბილისის
XXII ტრადიციული
საერთაშორისო
ტურნირი
თავისუფალ
ჭიდაობაში

ახალი სეზონის უვერტიურა



ივანე იარიგინმა შარშანწინ ჩაიბარა საბჭოთა კავშირის ნაკრების უფროსი მწვრთნელის პოსტი. ჩინებული მოჭიდავე იყო იარიგინი და, როგორც სპეციალისტები ამტკიცებენ, ახალ ამპლუაშიც მშვენივრად გრძნობს თავს. ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი საინტერესო მოსაუბრეცაა. დილის ორთაბრძოლები არც იყო დაწყებული, როცა მას შევხვდი და ინტერვიუ ვთხოვე:

— წლევანდელ ტურნირში საბჭოთა კავშირის ნაკრების სახელით ასზე მეტი ფალავანი გამოდის. თავისუფალი სტილის მოჭიდავეთათვის ახალი სეზონი, ტრადიციისამებრ, თბილისში იწყება და, ბუნებრივია, ბევრს აქვს სურვილი გამოვიდეს სარბიელზე და ძალები მოსინჯოს, მით უმეტეს, ასეთ ავტორიტეტულ შეჯიბრებაში, სადაც უძლიერესი ათლეტები იყრიან ხოლმე თავს. მეც არაერთხელ გამოვსულვარ თბილისში და გამარჯვებას ყოველთვის დიდ პატივად ვთვლიდი. აქ ჩამოსვლამდე ამერიკელებთან ამხანაგური სამატჩო შეხვედრა ჩავატარეთ და დამაჯერებლადაც გავიმარჯვეთ, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ამერიკელები სუსტი შემადგენლობით გვესტუმრნენ. ამ ქვეყნის მოჭიდავეები დიდ შეჯიბრებებში, განსაკუთრებით კი მსოფლიო თასის გათამაშებაში ყველაზე სერიოზული კონკურენტები არიან. მნიშვნელოვნად გადახალისდა ბულგარეთის, პოლონეთისა და რუმინეთის ნაკრები გუნდების შემადგენლობანი, აშკარად ამაღლდა კუბის მოჭიდავეთა ოსტატობის დონე. მიუხედავად ამისა, ჩვენი საჭიდაო სკოლა კვლავ ტონის მიმცემად რჩება. წლეულს მსოფლიო ჩემპიონატი კიევში ჩატარდება და, ცხადია, ამ შეჯიბრებისთვის საგანგებოდ ვემზადებით: მანამდე გველის ევროპის ჩემპიონატი, შემდეგ — სპარტაკიადა. ერთი სიტყვით, სპორტული სეზონი მეტად საინტერესოა.

ზემოთ უკვე ვთქვი, რომ ჩვენი ნაკრების ღირსებას ასზე მეტი სპორტსმენი დაიცავს-მეთქი. მათი უმრავლესობა ახალბედაა და ახლა გამოდის დიდ სარბიელზე. ნაკრების ზოგიერთ სტაჟიან წევრს ევროპის ჩემპიონატის წინ დასვენების საშუალება მივეცით, ამ მიზეზით თბილისში ვერ გამოვლენ ძმები ბელოგლაზოვები, ილია მატე. ტრავმა აქვთ ხასიმიკოვსა და ხუტაბას. ევროპის ჩემპიონატისთვის ვამზადებთ დავით გიგაურსაც.

— გიგაურის გარდა ქართველ მოჭიდავეთაგან ნაკრებისთვის თუ შეიგულეთ ვინმე?

— ბოლო პერიოდში ქართველი ფალავნები ცუდად როდი გამოდიან საკავშირო შეჯიბრებებში — ჭაბუკთა და ახალგაზრდულ ტურნირებს ვგულისხმობ, მაგრამ მოზრდილთა ნაკრებისთვის ჯერჯერობით საიმედო ძალა არ ჩანს. ჩემი აზრით, კარგი პერსპექტივა აქვს ხაბელოვს, რომელიც ამ ტურნირში ქვეყნის ნაკრების შემადგენლობაში გამოვა. სხვებზე ჯერჯერობით ვერაფერს ვიტყვი. სპორტული სეზონი წინაა და თუ ვინმე გამოიჩენს თავს, ცხადია ნაკრების კარი მისთვის ღია იქნება.

...გუშინ დილით პირველი წრის შეხვედრები გამართეს. 9 წონითი კატეგორიის მოჭიდავეებმა (მძიმე წონის ათლეტთა ორთაბრძოლები საღამოსთვის გადაიდო). ბუნებრივია, სპორტის სასახლეში შეკრებილ გულშემატკივართა ყურადღების ცენტრში საქართველოს მოჭიდავეთა გამოსვლა იყო. ტურნირი, რომელიც წლეულს ოცდამეორედ იმართება ჩვენს დედაქალაქში, სპორტსმენთა დაოსტატების საუკეთესო სკოლად ითვლება და მწვრთნელებს, როგორც წესი, სარბიელზე გამოცდილ სპორტსმენებთან ერთად ახალბედათა დიდი ჯგუფიც გამოჰყავთ. გამონაკლისი არც წლევანდელი შეჯიბრებაა. მაკასარაშვილის, ქენქაძის, ყურაშვილის, როსტომაშვილის, ტარიელაძისა და სხვათა გვერდით გამოდიან დებიუტანტები — სირაძე, მუსოიანი, გალდავა, ბუზარიაშვილი, რაზმაძე, ხალიევი.

უმჩატეს წონაში ორი ქართველი მოჭიდავე ასპარეზობს — წოწორია და ცეცაძე. სამწუხაროდ, პირველ წრეში ორივეს მოეცარა ხელი. წოწორია ქულებით დამარცხდა კალნიშთან (სსრკ ნაკრები), ცეცაძე — აბრეუსთან (კუბა). როცა სარბიელზე თბილისელ ტატუაშვილსა (52 კგ) და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს ეფენდიევს (სსრკ ნაკრები) უხმეს, ბევრს ეგონა, რომ გამარჯვება ეფენდიევს დარჩებოდა. მაგრამ ქართველმა ფალავანმა დიდი ალმავლობით ჩაატარა შეხვედრა და გაიმარჯვა — 10:7. ამ წონაში ჩვენმა მეორე მოჭიდავემ — მუსოიანმა ვერაფერი გააწყო ბულგარელ მეხმედოვთან და დამარცხდა.

57 და 62 კგ წონით კატეგორიებში ჩვენს რესპუბლიკას წარმომადგენელი არა ჰყავს, ქვემსუბუქი წონის მოჭიდავეთა შორის ფავორიტად ევროპის ჩემპიონი, ერევნელი ბალდასარიანი ითვლებოდა მაგრამ იგი პირველივე წრეში წმინდად დამარცხდა ვივოინთან (სსრკ). სამაგიეროდ მეორე ფავორიტმა, კრასნოიარსკელმა მსოფლიო ჩემპიონმა ალექსეევმა (62 კგ) მოუგო გაჯიევს (სსრკ).

ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი 68 კგ წონით კატეგორიაში. აქ გამოდიან ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ჩემპიონები აბუშევი და აბსაიდოვი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები — ბუდაევი, კრეიდიჩი, ბესმანი, ფუძაევი (ყველა — სსრკ), ქენქაძე (საქართველო). ფავორიტებმა იოლად დაძლიეს პირველი ეტაპი, მაგრამ, სამწუხაროდ, ქენქაძემ უფერულად იჭიდავა მახაჩყალელ ფუძაევთან. პირველი პერიოდი მასპინძელმა მოიგო, მაგრამ შემდეგ დათმო უპირატესობა და ქულებით წააგო. კრეიდიჩთან ქულებით დამარცხდა სირაძეც. ჩვენმა მოჭიდავეებმა სუსტად იასპარეზეს მეორე ქვესაშუალო წონაშიც: ციმაკურიძემ წააგო ამერიკელ ოლივერთან, როსტომაშვილმა — ვარაევთან, გაბოძემ — პეტრენკოსთან.

ჩვენი რესპუბლიკის ყველაზე მეტი — 5 მოჭიდავე გამოდის პირველ საშუალო წონაში: მაკასარაშვილი, გოგოლიშვილი, კუჩუბერია, ოქროპირიძე და ხალიევი. პირველ წრეში მაკასარაშვილმა წმინდად მოუგო კუჩუბერიას, გოგოლიშვილმა — ჯაბრაილოვს, წიკლაურმა, ოქროპირიძემ და ხალიევმა კი დამარცხებულებმა დატოვეს სარბიელი.

მეორე საშუალო წონა. აქ პირველივე წრეში დაწყვილდა ორი ფავორიტი — ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიო ჩემპიონი, მოსკოველი ოჰანესიანი და მახაჩყალელი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ევლოევი (სხვათა შორის, ევლოევი თბილისის შარშანდელი ტურნირის გამარჯვებულია). როგორც მოსალოდნელი იყო, შეხვედრა დაძაბულად წარიმართა, 4:2 — გაიმარჯვა ოჰანესიანმა. ამავე ქვეჯგუფში გამოდის თბილისელი ხაბელოვიც (იგი მსოფლიოს 1982 წლის ჩემპიონია ჭაბუკთა შორის), რომელიც გამოცდილ ტავგაზოვს შეხვდა. მეორე პერიოდში ტავგაზოვი მსაჯებმა მოხსნეს პასიურობისთვის.

საინტერესო ბრძოლებია მოსალოდნელი ქვემძიმე წონაში. აქ სხვებთან ერთად გამოდიან ყურაშვილი, გალდავა, ბუზარიაშვილი და მერმანიშვილი, რომელიც ახლა მინსკში ცხოვრობს: ყურაშვილმა, გალდავამ და მერმანიშვილმა პირველი გამარჯვებები ჩაიწერეს აქტივში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ყურაშვილის წარმატება გამოცდილ ხოდარცევთან (ტაშკენტი) შეხვედრაში. ამავე წონაში გამოდის, აგრეთვე, მსოფლიო თასის მფლობელი, ამერიკელი გიბსონი, რომელიც პირველ წრეში ისვენებდა.

გიბსონი ადრეც არაერთხელ ჩამოსულა თბილისში. სხვათა შორის, ბევრ მოჭიდავეს აქვს ჩვენს ტურნირში მონაწილეობის დიდი „სტაჟი", მსაჯთა შორის კი, ალბათ, პრიორიტეტი ანზორ გვიმრაძეს ეკუთვნის, რომელიც უკვე ზედიზედ მეთხუთმეტედ (!) ასრულებს ტურნირის მთავარი მსაჯის მოვალეობას.

— როგორც ცნობილია, ჩვენი ტურნირი სიძლიერით მსოფლიო ჩემპიონატს უტოლდება, — გვითხრა ა. გვიმრაძემ, — ეს აზრი ერთხელ კიდევ დაადასტურა ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის ოფიციალურმა წარმომადგენელმა. ბოლო პერიოდში ჭიდაობის წესები ხშირად იცვლება. ალბათ, მიაქცევდით ყურადღებას — თუ ადრე ჩოქბჯენში „ტრიალით" სპორტსმენს განუსაზღვრელი რაოდენობით შეეძლო ქულების ალება, ახლა წესებში შეზღუდვაა: „ტრიალით" მოჭიდავეს მხოლოდ 4 ქულის აღება შეუძლია, შემდეგ მან უნდა შეცვალოს ილეთი.

ე. ბერიშვილი.

●

უკანასკნელ 22·30 საათი

გუშინ საღამოს ასპარეზობაში ჩაებნენ მძიმეწონოსნები, ხოლო 48, 52, 57, 62 და 68 კგ წონის მოჭიდავეებმა გამართეს II წრის შეხვედრები.

თბილისელმა ჯ. ტარიელაძემ (მძიმე წონა) დაამარცხა მინსკელი ნ. ხკრიპკინი, კიეველმა ბ. ბიგაევმა — ბულგარელი ნ. დინოვი. პირველი გამარჯვება მოიპოვა ზ. წოწორიამ (48). მან წმინდად მოუგო ჟ. ბატსაიხანს (მონღოლეთი). მეორე მარცხის შემდეგ ბრძოლას გამოეთიშა გ. ცეცაძე (48).

დანარჩენი შეხვედრები გვიან ღამით დამთავრდა.

დღეს ათივე წონით კატეგორიაში გამოვლინდებიან ნახევარფინალისტები.

ასპარეზობა დაიწყება 11 და 18 საათზე.

• • •





სურათებზე: თბილისის სპორტის სასახლის სარბიელი; მ. ტატუაშვილისა და ო. ეფენდიევის შეხვედრის მომენტი; ხალიჩაზე არიან ამერიკელი ტ. ვინი და სსრ კავშირის ნაკრების წევრი მ. აისუევი (ზემოდან).

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შრომა და სპორტი მხარდამხარ

შრომასთან ერთად სპორტს ერთ-ერთი მთავარი ადგილი უჭირავს თბილისის საწარმოო გაერთიანება თბილთამბაქოში. გამოცდილი ინსტრუქტორ-მეთოდისტის ა. მიგრიაულის ხელმძღვანელობით საწარმოში პოპულარობით სარგებლობს სპორტის სხვადასხვა სახეობა, კერძოდ: შაშის, ჭადრაკის, მაგიდის ჩოგბურთის, ფეხბურთის, სროლის, კალათბურთისა და ფრენბურთის. სპორტის ამ სახეობათა მესვეურთ, რასაკვირველია, აუცილებელ პირობად მიაჩნიათ მშთ-ს მრავალჭიდის ნორმების ჩაბარება.

ახლახან სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადის პროგრამით ფაბრიკის და ოქტომბრის რაიონის სპორტულ ბაზებზე ჩატარდა შიდასაფაბრიკო სპარტაკიადა. მოჭადრაკეთა შორის გაიმარჯვა უფილტრო სიგარეტების საამქრომ. შაშში, მაგიდის ჩოგბურთსა და ფრენბურთში ყველას აჯობეს მექანიკური საამქროს მუშებმა. სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებზე ფაბრიკის ღირსებას იცავენ მოწინავე მუშა-სპორტსმენები; ჭადრაკში ოსტატობის კანდიდატი შ. გაბიანი, პირველთანრიგოსანი მოშაშე გ. ოქრუაშვილი, მაგიდის ჩოგბურთელი თ. გუჯეჯიანი, ფრენბურთელი დ. თუშმანიშვილი და სხვები.

* * *

სურათებზე: სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ჭადრაკში; ფილტრის საამქროს მექანიკოსები უ. მიშელაძე (მარცხნივ) და მ. მელაძე მუშაობისას, ისინი პირველთანრიგოსნები არიან ფეხბურთსა და ფრენბურთში; ფაბრიკის ფიზკულტურის მეთოდისტს ა. მიგრიაულს (მარცხნივ) ახალი წლის გეგმებს აცნობს ოქტომბრის რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ო. ჩხაიძე.

ა. კოტორაშვილის ტექსტი და ფოტოები.

ოლიმპიური სემინარი

სსრ კავშირის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა და საკავშირო სპორტკომიტეტმა აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის 37 ქვეყნის 100-ზე მეტი ფიზკულტურისა და სპორტის მწვრთნელი და სპეციალისტი მოიწვია საერთაშორისო სემინარზე „ოლიმპიური სოლიდარობა", რომელიც 27 იანვარს გაიხსნა მოსკოვში;

— როგორც ჩემი კოლეგები, მეც დიდად მოხარული ვარ, რომ საბჭოთა კავშირში ჩამოსვლის საშუალება მომეცა, — განაცხადა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში კოლუმბიელმა მწვრთნელმა სპორტულ ტანვარჯიშში ვიქტორ მონტოიამ. — ამ ცოტა ხნის წინ, როცა თავად გამოვდიოდი სარბიელზე, ჩემი ოცნება იყო საკუთარი თვალით მეხილა სახელოვანი საბჭოთა სპორტსმენები, მესწავლა მათგან უმაღლესი ოსტატობა და აი, მოსკოვში ვარ.

საბჭოთა კავშირში ფიზკულტურისა და სპორტის ორგანიზაციის მდიდარი გამოცდილების გაზიარების მიზნით სემინარის მონაწილეები მოისმენენ ცნობილი სპეციალისტებისა და მწვრთნელების ლექციებს, შეხვდებიან ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ჩემპიონებს, მონაწილეობას მიიღებენ პრაქტიკულ მეცადინეობებში.

თქვენი ქვეყანა ოლიმპიურ სოლიდარობას ახორციელებს პირველ რიგში იმ სახელმწიფოებთან, რომლებიც ახლა დაადგნენ დამოუკიდებელი განვითარების გზას, — ხაზგასმით აღნიშნა მონტოიამ. — აქ, მოსკოვში, ერთხელ კიდევ დავრწმუნდით, რომ სპორტი განამტკიცებს მშვიდობას, ხალხთა შორის მეგობრობას და სოლიდარობას.

სემინარის მონაწილეებს მიესალმნენ სსრ კავშირის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. სერედა, ფიზკულტურის სახელმწიფო ცენტრალური ინსტიტუტის რექტორი ვ. მენშიკოვი.

სემინარი 7 თებერვლამდე გასტანს. (საკდესი).

● ჭადრაკი

ახალგაზრდა ოსტატთა შორის

იურმალა (ლატვია), 28 იანვარი (ტელეფონით, „ლელოს" სპეც. კორ.). აქ გაიხსნა სსრ კავშირის ახალგაზრდა ოსტატთა XVII პირველობა. შეჯიბრებაში მონაწილეობენ (წილისყრით): 1. ა. ერმოლინსკი (ლენინგრადი), 2. ვ. გურევიჩი (უკრაინა), 3. ს. სალოვი (ლენინგრადი), 4. ა. შნეიდერი (ლვოვი), 5. ა. ხარიტონოვი (ივანოვო), 6. სსრ კავშირის ახალგაზრდა ოსტატთა შარშანდელი ჩემპიონი ს. ლპუტიანი (ერევანი), 7. ზ. ლანკა (ლატვია), 8. ქ. მაიოროვი (ვილნიუსი), 9. ა. ვიჟმანავინი (მოსკოვი), 10. ზ. აზმაიფარაშვილი (თბილისი), 11. ე. კენგისი (ლატვია), 12. ი. ნოვიკოვი (ხარკოვი), 13. ნ. ანდრიანოვი (მოსკოვი), 14. გ. ზაიჩიკი (თბილისი), 15. ა. ჩერნინი (ხარკოვი), 16. ვ. გავრიკოვი (ლიტვა).

ავადმყოფობის გამო ტურნირს გამოეთიშა სსრ კავშირის ახალგაზრდა ოსტატთა მეორე ჩემპიონი, საერთაშორისო ოსტატი ზ. სტურუა (თბილისი).

I ტურში ლპუტიანმა მოუგო კენგისს, ანდრიანოვმა — შნეიდერს. დაზავდნენ გურევიჩი — ჩერნინი და ერმოლინსკი — გავრიკოვი.

აზმაიფარაშვილ — კენგისის პარტია გადაიდო ქართველი მოჭადრაკისთვის უარეს პოზიციაში. სალოვ—ზაიჩიკის შეხვედრა არ შედგა.

დაჯილდოება

ფეხბურთის განვითარებაში გაწეული დიდი ღვაწლისთვის, რესპუბლიკის ფიზკულტურულ ორგანიზაციებში მრავალი წლის ნაყოფიერი მუშაობისა და დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით **ნესტორ იოსების ძე ჩხატარაშვილი** დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

„თავლის საიდუმლო"

ეს საიდუმლო ნამდვილად არსებობს და მისი ამოხსნისათვის, რაც არა მარტო ცხენის მოვლისა და ცხენოსნობის ანბანის, არამედ საცხენოსნო სპორტის მწვერვალების დაუფლებასაც ნიშნავს, საუკუნეთა მანძილზე და, მით უმეტეს, ჩვენს დროში, მრავალი წიგნი მიუძღვნიათ. მაგრამ ქართველი მკითხველი ამ მხრივ განებივრებული სულაც არაა და ამიტომ ის ლამაზი წიგნაკი — „ცხენოსნობა" (გამომცემლობა „განათლება", გამომცემლობის რედაქტორი — ტ. ზოზრაშვილი, მხატვარი —ვ. რურუა), რომელიც ცოტა ხნის წინათ რამდენიმე დღით გამოჩნდა წიგნის მაღაზიებში, სასიხარულო მოვლენად იქცა.

წიგნის ავტორს — თენგიზ გაჩეჩილაძეს, რომელიც დღევანდელი საცხენოსნო სპორტული ცხოვრების ერთგული მემატიანეა, ამ ნაშრომის ზოგიერთი ნაწილი ადრეც ჰქონდა გამოქვეყნებული, ახლა კი უხვი საცნობარო მასალა დაუმატებია, გემოვნებით შერჩეული ილუსტრაციებით შეუვსია და მრავალფეროვანი, მიმზიდველი წიგნი შეუქმნია.

„ლურჯავ, შენც გრძნობა გქონია"... ვაჟა-ფშაველას ეს სიტყვები ასათაურებს წიგნის პირველ თავს, რომელიც უშუალოდ მეცხენეობის, საცხენოსნო სპორტისა და ტურიზმის განვითარების შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს დადგენილების მიღების შემდეგ გამოქვეყნდა ჟურნალ „მართვეში", და თუმცა მისი ადრესატები, ისე როგორც მთელი წიგნისა, ბავშვები არიან, გულგრილად მას ვერც უფროსები წაიკითხავენ. თავი — „მე ვნახე ცხენბურთი, ისინდი, მარულა" მკითხველს ორიგინალური ფორმით ესაუბრება ქართული საცხენოსნო თამაშების სპეციფიკასა და მნიშვნელობაზე (ფაქტიურად თამაშის წესებსაც აცნობს); საგანგებო თავები ეძღვნება ქართული ცხენოსნობის შორეულ და ახლო წარსულს, კლასიკური ცხენოსნობის სახეობებს.

თ. გაჩეჩილაძის წიგნი სადღეისო მოთხოვნების გათვალისწინებით, საცხენოსნო სპორტის პრაქტიკულ მუშაკებთან თანამშრომლობის შედეგად არის შექმნილი. ამას მხოლოდ იმიტომ როდი ვამბობთ, რომ წიგნის რედაქტორია სპორტის ოსტატი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი ცხენოსნობაში ა. დგებუაძე, ხოლო რეცენზენტები არიან სპორტის ოსტატი მ. ტატიშვილი და თბილისის საცხენოსნო სპორტული ბაზის მწვრთნელი ნ. ჯავახიშვილი; ის ნამდვილად შესანიშნავი თავი, რომლის სათაურიცაა უკვე ზემოთ მოხსენიებული „თავლის საიდუმლო", თვალნათლივ მოწმობს, თუ რა საფუძვლიანადაა ჩახედული ავტორი ბავშვებთან მუშაობის, მოზარდი სპორტსმენების აღზრდის საქმეში.

ეს მონაკვეთი, შეიძლება ითქვას, მცირე ქართული სახელმძღვანელოა ცხენოსნობაში პირველი ნაბიჯების შესახებ და მას არა მარტო დამწყები მხედრებისათვის, არამედ პედაგოგ-მწვრთნელებისთვისაც დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია.

საცხენოსნო სპორტში ბავშვთა მეცადინეობასთან დაკავშირებული პრობლემები კი კვლავ ახალი სიმწვავით დაისვა ამ სამიოდე წლის წინათ საქართველოს განათლების სამინისტროსთან ბავშვთა და მოზარდთა რესპუბლიკური საცხენოსნო სკოლის გახსნის შემდეგ. ვისაც უნახავს ამ სასწავლებელში გამართული საკლასიფიკაციო შეჯიბრებანი, სადაც სკოლის დირექტორი, ცნობილი სპორტსმენი (კონკურისტი) მ. ტატიშვილი ახალ ამპლუაში — ინფორმატორი მსაჯის მოვალეობის ჩინებულ შემსრულებლადაც ვიხილეთ, იგი დარწმუნდებოდა, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ აქ პირუტყვის სიყვარულის, მაღალი სპორტული კულტურისა და დისციპლინის (წმინდა მხედრული პეწისა და სიჩაუქის) დანერგვას, ყოველი ასპარეზობის დღესასწაულად ქცევის, მისი სიტყვიერი დონის ამაღლების, მშობლიური ენის სიწმინდის დაცვის აუცილებლობას. ხოლო ამ ძნელ საქმეში კი სკოლის კოლექტივს მხარში უდგას (მორალურად მაინც) სხვადასხვა დარგის მრავალი მუშაკი, ცხენოსნობის ვეტერანები თუ მოყვარულები. აი, ასეთი დახმარების გამოვლენაა ეს წიგნიც, რომელიც საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით დაიბეჭდა და, ვიმეორებთ, ერთობლივი მიზანმიმართული მუშაობის გარკვეული ეტაპის ამსახველიცაა.



თუ გავითვალისწინებთ, რომ საცხენოსნო სპორტისა (კერძოდ, კლასიკურ სახეობათა) და უშუალოდ მეცადინეობის პროცესის შესახებ ამ წიგნს წინამორბედი მაინცდამაინც ბევრი არა ჰყავს (რა თქმა უნდა, ქართულ ენაზე), მაშინ მოულოდნელი არ იქნება ზოგიერთი უზუსტობა, შეიძლება უნებლიე შეცდომაც, ალაგ-ალაგ ტერმინოლოგიური სიჭრელე. წიგნისთვის დართული, სალექსიკონო წყაროებიდან ამოკრებილი მეცხენეობისა და ცხენოსნობის ამსახველი სიტყვებიც კარგად მოწმობს ამ დარგის ლექსიკური მარაგის მრავალფეროვნებას. საერთოდ, ეს უბანი თავისი მნიშვნელობისა და სირთულის გამო ცალკე მსჯელობის თემაა და, იმედია, ასეთი საუბარი გაიმართება კიდეც.

წიგნში ძალიან საინტერესო ინფორმაციული მასალაცაა წარმოდგენილი. ამჯერად ჩვენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ ცნობებს ქართველი ცხენოსნების შესახებ. აქაა მოცემული სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადებში გუნდური ადგილების განაწილებაცა და საქართველოს ცხენოსანთა მიღწევებიც პირად ჩათვლაში; დასახელებული არიან საქართველოს ჩემპიონები ცხენოსნობის კლასიკურ და ეროვნულ სახეობებში წლების მანძილზე და სხვა. ავტორს არც იმ პირთა მოხსენიება დავიწყებია, რომელთაც „დიდი წვლილი შეიტანეს" (ახლაც შეაქვთ!) საქართველოში საცხენოსნო სპორტის განვითარებაში (თუ ვინმე შემთხვევით გამორჩა, ამის გამოსწორებაც მომავალში ძნელი არ იქნება).

საქმე ისაა, რომ ამ მასალის მნიშვნელობა უფრო დიდია, ვიდრე შეიძლება ერთი შეხედვით მოეჩვენოს კაცს. ისე მოხდა, რომ საქართველოში, კერძოდ თბილისში, წლების მანძილზე თანდათან შემცირდა ცხენოსნობის პოპულარობა. ყველა მიზეზის გამოძიება ამჯერად შორს წაგვიყვანს, მაგრამ საკმაოდ ანგარიშგასაწევი ზოგადი ფაქტორია თვით საცხენოსნო სპორტის სპეციფიკიდან გამომდინარე მიზეზები: კლასიკურ სახეობებში დიდი მასშტაბის (საერთაშორისო თუ საკავშირო) შეჯიბრებების შედარებითი სიმცირე, შეზღუდული ლოკალიზაცია და ხანმოკლეობა. ხოლო თუ უშუალოდ ჩვენს გასაჭირს მივხედავთ, მაშინ ამ საერთო მიზეზებს ემატება ცხენოსნობის პოპულარიზაციის, სხვადასხვა დონის ასპარეზობათა საჯაროობის, ინფორმაციის არადამაკმაყოფილებელი დონე (მარტოკაცი აქაც ცოდვაა!). რესპუბლიკური ჩემპიონატის მხოლოდ ტექნიკური შედეგების გამოქვეყნება (ისიც ძალზე არასრულად და დიდი დაგვიანებით), ანდა ცალკეული ეპიზოდების გაელვება ტელეეკრანზე, ცხადია, მიახლოებითაც ვერ გადმოსცემს ცხენოსანთა ასპარეზობის დაძაბულობას, დრამატიზმსა და განუმეორებელ სილამაზეს. ესეცაა ერთი ძირითადი მიზეზი იმისა, რომ დღეს ჩვენი ცხენოსნები თითქოს განკერძოებულნი არიან, არც ავი ვუწყით მათი და არც კარგი, რესპუბლიკის საერთო სპორტული ცხოვრებიდანაც გარიყულები ჩანან. და თუ სპორტის ზოგიერთი პოპულარული სახეობის წარმომადგენლებს ზედმეტი აჟიოტაჟი ვნებს (ამას ხომ თვით მწვრთნელები აღიარებენ), აქ ნამდვილად საპირისპირო ვითარებაა და ეს არ შეიძლება არ აფერხებდეს საზოგადოებრივი აზრის შემუშავებას, თავის დალს არ აჩნევდეს სპორტსმენთა ხასიათის ჩამოყალიბებას, მორალური და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის შეგრძნებას.

ამ მხრივაც თ. გაჩეჩილაძის წიგნი ამინდის სასიკეთოდ შეცვლის მაუწყებელია. არ გვეეჭვება, რომ ის დიდი დაინტერესება, რაც მისმა ნაშრომმა გამოიწვია, თვით ავტორის ერთგულება და სიყვარული ცხენოსნობისადმი, ახალი ნაყოფიერი მუშაობის საწინდარი იქნება თავლისა და საცხენოსნო სარბიელის საიდუმლოებათა შესაცნობად.

ნოდარ ებრალიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოსააფის საკავშირო IX ყრილობის წინ

●

ცის დამპყრობთა აღმზრდელი

სიჭაბუკეში ვის არ უოცნებია მფრინავის პროფესიაზე, მაგრამ ოცნებობა იოლია, მისი განხორციელება — ძნელი. თბილისელი ვიქტორ ბონდარენკო ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად ჩაეწერა აეროკლუბის პარაშუტისტთა ჯგუფში. რა მოხდება ერთხელ მაინც გადმოვხტე თვითმფრინავიდან? — ფიქრობდა იგი. 16 წლის ჭაბუკს სურდა საკუთარი თავისთვის დაემტკიცებინა, რომ სიმაღლისა არ ეშინოდა. და აი, დადგა წამი პირველი გაუბედავი ნახტომის შესრულებისა, რომელიც მისთვის ლაჟვარდოვანი სიზმარი უფრო იყო. პირველს მეორე მოჰყვა, მეორეს — მესამე. სულ რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებზე ვიქტორმა 2400 ნახტომი შეასრულა. გუშინდელივით იხსენებს 20 წლის წინანდელს. ალექსანდრე ვიატკინის მოწაფე ვ. ბონდარენკო 18 წლის იყო, როცა სსრ კავშირის სპორტის ოსტატი გახდა. რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებებში წარმატებით გამოსვლის შემდეგ ვიქტორი სსრ კავშირის ნაკრებში შეიყვანეს.

თბილისელი პარაშუტისტისთვის განსაკუთრებით შედეგიანი იყო 1969 და 1970 წლები. ამ ხნის მანძილზე ვიქტორმა ღამის ექვსი მსოფლიო რეკორდი დაამყარა პარაშუტით ზუსტ დაშვებაში. დიახ, ღამით ხტომის ექვსი მსოფლიო რეკორდის ავტორია თბილისის აეროკლუბის საპარაშუტო რგოლის უფროსი მფრინავი ინსტრუქტორი, პარაშუტისტთა გუნდის მწვრთნელი ვიქტორ ბონდარენკო. მწვრთნელის საქმიანობასაც დიდი მონდომებით ეკიდება. 13 წელია, რაც იგი ცის დამპყრობლებს ზრდის. ვიქტორის იმ მოწაფეთა შორის, რომლებსაც წლეულს სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადაზე მოუწევთ ჩვენი რესპუბლიკის ნაკრები გუნდის ღირსების დაცვა, არიან ცოლ-ქმარი ირინა და ალექსანდრე ვაიტიუკები.

წლევანდელ სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადის პარაშუტისტთა სტარტებს იმედის თვალით უყურებენ ჩვენი სპორტსმენები. ისინი აქ თავიანთ ლიდერთან — მსოფლიოს ორგზის აბსოლუტურ ჩემპიონთან, სპორტის დამსახურებულ ოსტატ ნიკოლოზ უშმაევთან ერთად გამოვლენ.

კარგა ხანია, რაც ვიქტორ ბონდარენკო ოფიციალურ შეჯიბრებებში აღარ გამოსულა, მაგრამ თავისი მოსწავლეებისთვის ჯერ კიდევ ასრულებს საჩვენებელ ხტომებს, ან, როგორც თავად ამბობს, ხტომებს სპორტული ფორმის შესანარჩუნებლად.

— მაინც რას გრძნობთ თვითმფრინავიდან გადმოხტომის შემდეგ? — ვეკითხებით ყოფილ რეკორდსმენს.

— ამ რამდენიმე წლის წინ, ერთ-ერთი საკავშირო პირველობის დროს, ის იყო ძირს დავეშვი და პარაშუტის მოხსნას შევუდექი, რომ ჯგუფური ხტომები დაიწყო, — გვიყვება ვიქტორი. — ჰაერში ჩამოკიდებულ სპორტსმენებს დაშვებამდე 150, 100, ზოგს 50 მეტრიღა დარჩენოდათ. უცებ ყველანი აფარფატდნენ და ნელ-ნელა ზევით იწყეს აფრენა. 400 მეტრამდე სიმაღლეზე ავიდნენ. ეს იყო ენით აუწერელი სანახაობა. 20 წუთი დასჭირდა მათ ხელახლა დაშვებას. პარაშუტი გახსნისთანავე ფრინველივით ხან მარცხნივ, ხან მარჯვნივ გადაიხრება. ფიგურები ჰაერში ტექნიკის წყალობით სრულდება. საოცარ სილაღეს და თავისუფლებას, ჰაერის ტალღების სასიამოვნო შეხებას, მიწის სუნთქვას და მის სიახლოვეს გრძნობ.

უყურებ ვიქტორ ბონდარენკოს ცოცხალ, მეტყველ თვალებს, მის სპორტულ აღნაგობას და გგონია, რომ ეს კაცი მხოლოდ პარაშუტისტად არის დაბადებული. გულით შეიყვარა ეს საქმე, მისი ავკარგით ცხოვრობს. საუბარში თავისი გულისტკივილიც გაგვანდო, რომ ომამდელთან შედარებით აეროკლუბთა რაოდენობა ჩვენში საგრძნობლად შემცირდა. მერე რა პარაშუტისტები გვყოლია 50-იან წლებში!.. აკ. გამრეკელაშვილს 9 საათში 94 ნახტომი შეუსრულებია და ამით მსოფლიო რეკორდი დაუმყარებია.

უყვართ სპორტი ვიქტორ ბონდარენკოს ოჯახში. ვიქტორის ექვსი წლის ნატაშას ფიგურული სრიალის სექციაში ახალბედა მწვრთნელი მარინა ცერცვაძე ავარჯიშებს. — თუ ცნობილი სპორტსმენი ვერ გამოვა, ფიზიკურ წრთობას მაინც მიიღებს, ურომლისოდაც მომავალი თაობა წარმოუდგენელია — ასე სწამს სიმაღლიდან ხტომის ოსტატს ვიქტორ ბონდარენკოს.

ბ. ბარჯაძე.
(„ლელოს“ კორ.).

თბილისის „დინამოსა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ სსრ კავშირის 1983 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის შეხვედრათა კალენდარი

პირველი წრე

26 მარტი. „დინამო“ (თბილისი) — „ტორპედო“ (მოსკოვი), „ტორპედო“ (ქუთაისი) — „მეტალისტი“.

30 მარტი. „ტორპედო“ (ქუთაისი) — „დინამო“ (კიევი), „დინამო“ (თბილისი) — ცსკა.

3 აპრილი. ცსკა — „ტორპედო“ (ქუთაისი).

4 აპრილი. „ჟალგირისი“ — „დინამო“ (თბილისი).

8. აპრილი. „ტორპედო“ (მოსკოვი) — „ტორპედო“ (ქუთაისი), „დინამო“ (მინსკი) — „დინამო“ (თბილისი).

16 აპრილი. „დინამო“ (თბილისი) — „შახტიორი“, „ტორპედო“ (ქუთაისი) — „დინამო“ (მინსკი).

19 აპრილი. „დინამო“ (თბილისი) — „დნეპრი“, „ტორპედო“ (ქუთაისი) — „ჟალგირისი“.

29 აპრილი. „დნეპრი“ — „ტორპედო“ (ქუთაისი).

30 აპრილი. „ნისტრუ“ — „დინამო“ (თბილისი).

2 მაისი. „შახტიორი“ — „ტორპედო“ (ქუთაისი).

3 მაისი. „ჩერნომორეცი“ — „დინამო“ (თბილისი).

7 მაისი. „ტორპედო“ (ქუთაისი) — „ჩერნომორეცი“.

8 მაისი. „დინამო“ (თბილისი) — „სპარტაკი“.

13 მაისი. „დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (მოსკოვი), „ტორპედო“ (ქუთაისი) — „ნისტრუ“.

3 ივნისი. „დინამო“ (მოსკოვი) — „ტორპედო“ (ქუთაისი).

4 ივნისი. „ფახთაქორი“ — „დინამო“ (თბილისი).

7 ივნისი. „ზენიტი“ — „დინამო“ (თბილისი).

8 ივნისი. „სპარტაკი“ — „ტორპედო“ (ქუთაისი).

11 ივნისი. „ტორპედო“ (ქუთაისი) — „ზენიტი“.

15 ივნისი. „ნეფთჩი“ — „დინამო“ (თბილისი), „ტორპედო“ (ქუთაისი) — „ფახთაქორი“.

24 ივნისი. „დინამო“ (თბილისი) — „არარატი“, „ნეფთჩი“ — „ტორპედო“ (ქუთაისი).

27 ივნისი. „დინამო“ (თბილისი) — „ტორპედო“ (ქუთაისი).

1 ივლისი. „დინამო“ (კიევი) — „დინამო“ (თბილისი).

5 ივლისი. „მეტალისტი“ — „დინამო“ (თბილისი), „ტორპედო“ (ქუთაისი) — „არარატი“.

მეორე წრე

10 ივლისი. „დინამო“ (თბილისი) — „ჟალგირისი“, „ტორპედო“ (ქუთაისი) — ცსკა.

13 ივლისი. „დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (მინსკი), „ტორპედო“ (ქუთაისი) — „ტორპედო“ (მოსკოვი).

18 ივლისი. „დინამო“ (მინსკი) — „ტორპედო“ (ქუთაისი), „შახტიორი“ — „დინამო“ (თბილისი).

21 ივლისი. „ჟალგირისი“ — „ტორპედო“ (ქუთაისი), „დნეპრი“ — „დინამო“ (თბილისი).

2 აგვისტო. „დინამო“ (თბილისი) — „ნისტრუ“, „ტორპედო“ (ქუთაისი) — „დნეპრი“.

5 აგვისტო. „დინამო“ (თბილისი) — „ჩერნომორეცი“, „ტორპედო“ (ქუთაისი) — „შახტიორი“.

9 აგვისტო. „ჩერნომორეცი“ — „ტორპედო“ (ქუთაისი).

13 აგვისტო. „სპარტაკი“ — „დინამო“ (თბილისი).

21 აგვისტო. „ნისტრუ“ — „ტორპედო“ (ქუთაისი), „დინამო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (თბილისი).

24 აგვისტო. „დინამო“ (თბილისი) — „ფახთაქორი“.

25 აგვისტო. „ტორპედო“ (ქუთაისი) — „დინამო“ (მოსკოვი).

29 აგვისტო. „დინამო“ (თბილისი) — „ზენიტი“, „ტორპედო“ (ქუთაისი) — „სპარტაკი“.

1 სექტემბერი. „ზენიტი“ — „ტორპედო“ (ქუთაისი).

2 სექტემბერი. „დინამო“ (თბილისი) — „ნეფთჩი“.

10 სექტემბერი. „ფახთაქორი“ — „ტორპედო“ (ქუთაისი).

18 სექტემბერი. „არარატი“ — „დინამო“ (თბილისი), „ტორპედო“ (ქუთაისი) — „ნეფთჩი“.

23 სექტემბერი. „ტორპედო“ (ქუთაისი) — „დინამო“ (თბილისი).

15 ოქტომბერი. „დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (კიევი), „არარატი“ — „ტორპედო“ (ქუთაისი).

23 ოქტომბერი. „დინამო“ (თბილისი) — „მეტალისტი“.

28 ოქტომბერი. „მეტალისტი“ — „ტორპედო“ (ქუთაისი), „ტორპედო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (თბილისი).

6 ნოემბერი. „დინამო“ (კიევი) — „ტორპედო“ (ქუთაისი), ცსკა — „დინამო“ (თბილისი).

შენიშვნა: სსრ კავშირის 1983 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის სრული კალენდარი დაიბეჭდება ჩვენი გაზეთის უახლოეს ნომრებში.

კარლოს ალბერტოს ამბიციები

ცნობილმა ბრაზილიელმა ფეხბურთელმა, 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონმა, ბრაზილიის მაშინდელი ნაკრების კაპიტანმა კარლოს ალბერტო ტორესმა რიო-დე-ჟანეიროში განუცხადა „ჟორნალ დუ ბრაზილის“ კორესპონდენტს, რომ წინააღმდეგი არ იქნება თუ მას შესთავაზებენ ბრაზილიის ეროვნული ნაკრების უფროსი მწვრთნელის პოსტს ტელე სანტანას ნაცვლად, რომელიც ამას წინათ გადადგა ამ თანამდებობიდან.

კარლოს ალბერტოს აზრით ბრაზილიის ნაკრები წარუმატებლად გამოვიდა ესპანეთის გასულ მსოფლიო ჩემპიონატზე და ხელიდან გაუშვა მეოთხედ მსოფლიო ჩემპიონობის მოპოვების ნაღდი შანსი. მისი აზრით, ბრაზილიელები ესპანეთში მობილიზებულად ვერ თამაშობდნენ, გუნდს არ ჰქონდა ნათლად გამოკვეთილი სამოქმედო გეგმა, არ გააჩნდა წინასწარ შემუშავებული კომბინაციები და გარკვეული ტაქტიკური სქემის უქონლობის გამო ხელმოცარული დაბრუნდა შინ. ის, რომ ბრაზილიელი ფეხბურთელები კვლავინდებურად ვირტუოზულად თამაშობდნენ, პირადად მათი და არა მწვრთნელის დამსახურებაა. კარლოს ალბერტომ კვლავ გაუსვა ხაზი, რომ ბრაზილიის ნაკრებს ჰყავს ისეთი ექსტრა-კლასის ფეხბურთელები, როგორებიცაა ზიკო, ფალკაო, სოკრატესი და სხვანი, მაგრამ მარტოოდენ მოთამაშეთა ინდივიდუალური სიძლიერე თანამედროვე ფეხბურთში აშკარად არასაკმარისია. ბევრი ბრაზილიელი ფეხბურთელი უპასუხისმგებლოდ მოეკიდა ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატის გადამწყვეტ მატჩებს, ამას გარდა, მიუტევებელი შეცდომა იყო ისიც, რომ გუნდს ესპანეთში თან ახლდნენ ფეხბურთელთა ცოლები და ნათესავები.

კ. ალბერტომ ბრაზილიის ახლანდელ საუკეთესო ფეხბურთელად მიიჩნია ფალკაო. ზიკოს, მისი აზრით, არ ყოფნის მომთხოვნელობა საკუთარი თავის მიმართ, ეს კი ბევრს ნიშნავს.

სუპერთასი — „ასტონ ვილას“

26 იანვარს ბირმინგემში გაიმართა ევროპის სუპერთასის საპასუხო მატჩი ინგლისის „ასტონ ვილასა“ და ესპანეთის „ბარსელონას“ ფეხბურთელთა შორის.

სუპერთასის პირველი შეხვედრა ბარსელონაში, როგორც ცნობილია, მოიგეს მასპინძლებმა ანგარიშით — 1:0 და მიმომხილველები უკვე მაშინ აღნიშნავდნენ, რომ ეს მინიმალური ანგარიში არ იყო ესპანელთა საბოლოო გამარჯვების გარანტია.

ინგლისელებმა ძლიერად ჩაატარეს საპასუხო მატჩი. თამაშის ძირითადი დრო დამთავრდა მასპინძელთა სასარგებლოდ — 1:0, გოლი 79-ე წუთზე გაიტანა შოუმ. საჭირო გახდა დამატებითი დროის დანიშვნა. ინგლისელებმა ამ 30 წუთის მანძილზე კიდევ ორჯერ გაიტანეს ბურთი მეტოქის კარში — 3:0. განმეორებით მატჩს ბირმინგემის სტადიონზე 32 ათასი მაყურებელი დაესწრო.

მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ ფეხბურთელები უხეშად თამაშობდნენ. ბელგიელი არბიტრი ა. პონე იძულებული იყო მინდვრიდან გაეძევებინა ორი ესპანელი და ერთი ინგლისელი ფეხბურთელი, მან ოთხჯერ აჩვენა ყვითელი ბარათი ესპანელებს და სამჯერ — ინგლისელებს.

ამრიგად, ორი მატჩის ჯამში ინგლისის „ასტონ ვილამ“ საერთო ანგარიშით 3:1 დაამარცხა „ბარსელონა“ და დაეუფლა 1982 წლის ევროპის სუპერთასს.

ფეხბურთელი კალათბურთელის როლში

ჟან ტიგანა, საფრანგეთის ფეხბურთელთა ნაკრების ერთ-ერთი საუკეთესო ნახევარმცველი, ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ლონდონის „ტოტენჰემის“ წევრი გახდა, მაგრამ ამას წინათ განაცხადა, რომ გული მაინც სამშობლოსკენ მიუწევს.

ტიგანა დაბადებულია ქ. ბორდოში, ამ ქალაქის გუნდშიც თამაშობდა, მაგრამ მარტო ეს როდია მიზეზი მისი გულისწუხილისა. იგი, თურმე, კარგი კალათბურთელიც ყოფილა და გამონაკლისის სახით უფლება ჰქონია კალათბურთელთა გუნდშიც ეთამაშა საფრანგეთის ჩემპიონატში. ინგლისში ჟ. ტიგანას არ აძლევენ კალათბურთის თამაშის უფლებას, რასაც იგი ვერაფრით ვერ ეგუება.

მსოფლიოს ფეხბურთის ამბები

დიდი გუნდის კოჰორტიდან...

სამწუხარო ცნობა მოვიდა ბრაზილიიდან: გარდაიცვალა თანამედროვე ფეხბურთის გამოჩენილი ოსტატი, ბრაზილიის ეროვნული ნაკრების ბრწყინვალე თავდამსხმელი მანოელ ფრანსისკო დოს სანტოსი, რომელსაც სპორტული მსოფლიო გარინჩას სახელით იცნობდა.

გარინჩა იყო ბრაზილიის იმ დიდი გუნდის ერთ-ერთი სწორუპოვარი წარმომადგენელი, რომელმაც ახალი სიტყვა თქვა თანამედროვე ფეხბურთში და 1958 წლის შვეციის მსოფლიო ჩემპიონატში ნამდვილი რევოლუცია მოახდინა. მაშინ ბრაზილიის გუნდში გამოდიოდნენ შეუდარებელი კორიფეები — დიდი, პელე, ჟილმარი, ჯ. და ნ. სანტოსები, ზაგალო, ზიტო, მაურო, ბელინი, ვავა, მაცოლა და სხვანი. ამ კოჰორტის ერთ-ერთი წარმომადგენელი იყო გარინჩა, მარჯვენა გარემარბი, დრიბლინგისა და ფინტის უბადლო ოსტატი, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა ბრაზილიელთა შესანიშნავ წარმატებებში. გარინჩა 1958 და 1962 წლებში მსოფლიო ჩემპიონი იყო, მისი თამაშის სანახავად მოდიოდა აურაცხელი მაყურებელი, ჟურნალ-გაზეთებს არ სცილდებოდა გარინჩას ფოტოები, იგი ბრაზილიელ ფეხბურთის მოყვარულთა სათაყვანო კერპი იყო.

გარინჩა დაიბადა 1933 წელს, თამაშობდა „ბოტაფოგოში“, შემდეგ — „კორინტიანსში“ და, ბოლოს, „ფლამენგოში“.

ბევრი პირველხარისხოვანი მცველი, რომლებსაც უთამაშიათ გარინჩას წინააღმდეგ, საჯაროდ ირწმუნებოდა, რომ პრაქტიკულად შეუძლებელია მისი ნეიტრალიზება, გარინჩას დრიბლინგი, წარმოუდგენელი სასტარტო სისწრაფე და ზუსტი ჩაწოდებები გამოუვალ მდგომარეობაში აყენებდა თვით ყველაზე უფრო გამოცდილ მეტოქეებსაც კი. გარინჩა სრულიად ახალგაზრდა იყო, როცა ჩარიცხეს ბრაზილიის ეროვნულ ნაკრებში, სადაც მან 54 მატჩი ითამაშა. მანოელ ფრანსისკო დოს სანტოსის სახელი საფეხბურთო მსოფლიომ პირველად გაიგო 1958 წლის მსოფლიო ჩემპიონატის დროს. შემდგომში გარინჩა დიდების მწვერვალზე მოექცა, მაგრამ ამ ფეხბურთელის პირადი ცხოვრება ვერ წარიმართა ისე, როგორც სხვა მისი გამოჩენილი თანაგუნდელებისა.

49 წლის გარინჩა ბოლო ხანებში მკურნალობდა რიო-დე-ჟანეიროს ერთ-ერთ კლინიკაში. ერთ ხანს მას თითქოს გაუმჯობესებაც დაეტყო, კორესპონდენტებმა რამდენიმე ინტერვიუც აიღეს მისგან, სადაც ვეტერანი მკაცრ შეფასებას აძლევდა ბრაზილიელთა წარუმატებლობას ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატზე, მაგრამ შემდგომში ავადმყოფის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა და მცირე ხანში სახელგანთქმული ბრაზილიელი ფეხბურთელი აღესრულა კიდეც.

გარინჩას ჩვენს ქვეყანაშიც აქვს ნათამაშევი: 1965 წლის ივლისში მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირისა და ბრაზილიის ეროვნული ნაკრები გუნდების ამხანაგური მატჩი, გარინჩა ბოლო 15 წუთის განმავლობაში გამოვიდა მინდორზე ჟაირის ნაცვლად.

სურათზე: გარინჩა მიესალმება მაყურებლებს.

● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი

მასპინძლობს ბაკურიანი

„კოხტამ“ შუბლი გახსნა

●

ნორჩ ჰოკეისტთა ტურნირი „ოქროს შაიბის“ კლუბის პრიზზე

●

გასაკვირი ის კი არ იყო, რომ ბაკურიანელებმა მეორე ტურში ჭეშმარიტად ასტრონომიული ანგარიშით 0:21 წააგეს შეჯიბრების მთავარ ფავორიტთან თბილისის „პირველ მერცხალთან“, არამედ ის, რომ ისინი მატჩის დამთავრებისთანავე დარჩნენ მოედანზე და... ვარჯიშს შეუდგნენ. ამაოდ მოუწოდებდნენ მწვრთნელები თემურ თედიაშვილი და შალვა საძიანცი: წადით, გაიხადეთ ფორმაო! ამ ურჩ ნორჩებს, მგონი მართლაც არ ესმოდათ უფროსების სიტყვები. ყოველ შემთხვევაში არც ერთი არ ფიქრობდა დაეტოვებინა სარბიელი. გადავწყვიტეთ მანამდე დაველოდებოდით, სანამ საციგურაოს დატოვებდნენ. გასახდელში ვცადეთ გავსაუბრებოდით, თუმცა ვიცოდით რა ძნელია თქვა რამე, როდესაც შეხვედრას აგებ და ისიც ასეთი გამანადგურებელი ანგარიშით. კითხვა ჯერ კაპიტანს, 14 წლის ლაშა გავას შევაპარეთ.

— წავაგეთ, მაგრამ ხვალ ბევრად უკეთ ვითამაშებთ, შეიძლება მოვიგოთ კიდეც, — გვიპასუხა გუნდისთავმა. — ისე კი, ორ წელიწადში „პირველ მერცხალსაც“ დავამარცხებთ.

— არც იმათ „ეძინებათ“, ისინიც ივარჯიშებენ, — ეშმაკურად გადაუკრა თანაგუნდელმა გოჩა პეტროსიანმა.

— ყოველდღე ვივარჯიშებთ, დღეში ორჯერაც კი! — გაცხარდა კახა წაქაძე და მამამისს, სახელოვან ქართველ მხტომელს კობა წაქაძეს შეხედა.

ერთბაშად „ამოიდგეს“ ენა განმარტოებით მოწყენილად მდგარმა გელა ბანდურმა და გურამ ხეთაგურმა: „ვივარჯიშებთ, ბევრს ვივარჯიშებთ“.

დიახ. იმ დღეს უკვე შეასრულეს სიტყვა ბიჭებმა და ზომაზე მეტად დაღლილ-დაქანცულნი გვიან გაეშურნენ სახლებისაკენ.

ვჩქარობთ გაუწყოთ, რომ ტურნირის მესამე დღეს ნორჩმა ბაკურიანელმა ჰოკეისტებმა მართლაც საუკეთესოდ ითამაშეს ბოგდანოვკის „ფარვანის“ ძლიერ გუნდთან (მან წინა ტურში დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა ახალციხის „ჩირაღდანი“) და პირველი ქულა ჩაიწერეს სატურნირო ცხრილში.

მესამე გამარჯვება მოიპოვა „პირველმა მერცხალმა“ — ამჯერად ახალქალაქის „ცისკართან“ — 17:0. გამარჯვებულთა გუნდის კაპიტანი ზაზა აფციაური და სერგო ზახაროვი 13-13 გატანილი შაიბით სათავეში ჩაუდგნენ ბომბარდირთა დავას ჩვენი გაზეთის პრიზზე.

წარმატებით გამოვიდა თბილისის მეორე გუნდი „მზიური“. წინა დღეს მან ანგარიშით 6:0 სძლია „ცისკარს“, გუშინ კი 6:1 მოუგო „ჩირაღდანს“.

დღეს ტურნირზე გაიმართება ბოლოსწინა, მეოთხე ტურის მორიგი სამი შეხვედრა: „კოხტა“ — „ცისკარი“, „ფარვანა“ — „მზიური“ და „ჩირაღდანი“ — „პირველი მერცხალი“.

ო. ნოზაძე.
(„ლელოს“ სპეც. კორ.).

• • •

სურათებზე: ბაკურიანის ჰოკეისტთა სარბიელი; „ოქროს შაიბის“ აფიშასთან; ყინულის მოედანზე ცხარე ბრძოლებია.

ნ. ქარელის ფოტოები.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

„ᲙᲝᲠᲔᲥᲢᲘᲕᲘ“ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲙᲕᲐᲠᲪᲮᲚᲑᲔᲙᲖᲔ

საბჭოთა კავშირის თასის გათამაშების საპატიო კვარცხლბეკზე ავიდნენ ვაჟთა შეჯიბრებაში (რბოლა 15 კმ-ზე) გამარჯვებულნი: ა. ზავიალოვი, მ. დევიატიაროვი და ვ. ნიკიტინი. ამჯერად ქვეყნის ჩემპიონატზე (30 კმ) დაწინაურებულ პირველ სამეულში ერთგვარი ცვლილება მოხდა. ზავიალოვი კვლავ პირველი იყო (1:24.13,8), ნიკიტინმა მეორე ადგილზე გადაინაცვლა (1:25.11,9), მესამე შედეგი კი 30 წლის ვეტერანმა ნ. ბაჟუკოვმა აჩვენა — 1:25.24,2. გამარჯვებულმა ამ დღესაც მაღალ ტემპში, თანაბრად გაიარა მთელი დისტანცია და წარმატების არავითარი შანსი არ დაუტოვა თავის საკმაოდ ძლიერ მეტოქეებს. ქვეყნის ნაკრების წევრები, სპორტის დამსახურებული ოსტატები ნ. ზიმიატოვი, ე. ბელიაევი და ი. ბურლაკოვი შესაბამისად V, VIII და X ადგილებით დაკმაყოფილდნენ. გუნდურ ჩათვლაში წინ არიან არმიელები. მომდევნო ადგილებზე იმყოფებიან „უროჟაის“, „ტრუდის“ და „დინამოს“ მოთხილამურეები.

საკავშირო ჩემპიონატის შემდეგი, დასკვნითი სტარტები მარტში, სიქტივკარში გაიმართება.

ო. ოთარაშვილი.
„ლელოს“ სპეც. კორ.

* * *

სურათებზე: რ. სმეტანინა (მარცხნივ) და ა. ზავიალოვი.

ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠ ᲑᲘᲚᲘᲙᲔᲑᲖᲔ „ᲪᲮᲔᲚᲐ“

მოსკოვის ერთ-ერთ გარეუბან კრილატსკოეს მიდამოებში გამეფებულ სიჩუმესა და სიმყუდროვეს მხოლოდ თხილამურებით მოსეირნეთა შეძახილები თუ არღვევს. აქვე, დახურული ოლიმპიური ტრეკის თაღებქვეშ დაწყებული დაძაბული და ცხარე ბრძოლები კი მომავალ ზაფხულს ეხმიანება. დიახ, ახალი სეზონის ეს პირველი სტარტები, რომელსაც ჩვენი ქვეყნის ზამთრის პირველობა ჰქვია, წინ უსწრებს ველოსპორტის, კერძოდ ტრეკზე რბოლის ისეთ დიდ მოვლენებს, როგორიცაა სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადა, რომელშიც ჩვენი ქვეყნის მრბოლებთან ერთად საზღვარგარეთის უძლიერესი სპორტსმენებიც გამოვლენ.

ზამთრის საკავშირო ჩემპიონატში პირველი ოქროს მედალი მოსკოვის ოლქის წარმომადგენელმა კ. ხრაბცოვმა მოიპოვა. ეს სახელი ველოსპორტის მოყვარულთათვის კარგადაა ცნობილი. იგი გამოცდილი სპორტსმენია და ხშირად სწორედ სწორი ტაქტიკის წყალობით აღწევს წარმატებას. აი, ამჯერადაც, ვიდრე იგი 1.000 მეტრზე გიტში ჩაებმებოდა ბრძოლაში, ვერავინ შეძლო ვ. კუდრიაშოვის დრო — 1.06,014 გაეუმჯობესებინა, მაგრამ როცა მე-15 გარბოლში სტარტიდან წინ გაიჭრა ხრაბცოვი, ყველა დარწმუნდა, იგი უკეთეს შედეგს უჩვენებდა. და მართლაც, მძაფრი ფინიშით ხრაბცოვმა კუდრიაშოვის „საორიენტირო“ შედეგს 2 წამამდე ჩამოაკლო (1.04,651), რაც გამარჯვებას ნიშნავდა.

ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

სამტრედია, 28 იანვარი (ტელეფონით, „ლელოს“ სპეც. კორ.) რაიონის პიონერთა სახლში დამთავრდა საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი ასუჯრიან შაშში. შეჯიბრებაში 11 მოშაშე მონაწილეობდა.

I ადგილი და ჩემპიონის ტიტული მოიპოვა თბილისელმა ოსტატმა ა. გოიხმანმა — 9,5 ქულა.

გამარჯვებულს 2,5 ქულით ჩამორჩა ოსტატი ი. სპესივცევი (თბილისი). III-IV ადგილები გაიყვეს ა. სამადაშვილმა (თბილისი) და ზ. ხოფერიამ (ფოთი) — 6,5-6,5, მაგრამ კოეფიციენტთა ცხრილით III ადგილი თბილისელ მოშაშეს მიაკუთვნეს.

შემდეგ მოდიან ჯ. ბერიშვილი (თბილისი), დ. შანიძე — 5,5-5,5, ა. გრიგოლია (ორივე — სამტრედია) — 3, პ. კუჩეროვი (თბილისი) — 2,5, თამარ გრიგოლია (სამტრედია), ვ. წოწონავა (სოხუმი) — 1-1.

ჩემპიონატის საზეიმო დახურვის შემდეგ მოეწყო ბლიცტურნირი, აქაც გოიხმანმა გაიმარჯვა.

მ. არჩვაძე.

26 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა გუნდების უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის 2 მატჩი.

ლენინგრადის „სპარტაკი“ შეხვდა რიგის ვეფ-ს და გაიმარჯვა ანგარიშით 94:93 (47:49). კიევის „სტროიტელმა“ მიიღო თბილისის „დინამო“. მატჩი დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით — 97:67 (53:29).

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

მდგომარეობა 28 იანვრისთვის

	მ.	წ.	ბ.	ქ.
„ჟალგირ.“	16	4	1970—1726	36
ცსკა	15	5	1930—1639	35
„დინ.“ მ.	11	8	1797—1680	30
„სპ.“ ლდ.	11	8	1585—1492	30
რტი მნ.	9	12	1797—1776	30
„სტრ.“ კ.	10	9	1551—1545	29
ვეფ რიგა	4	16	1555—1845	24
„დინ.“ თბ.	3	17	1508—1941	23

●

ᲗᲐᲡᲔᲑᲘ, ᲗᲐᲡᲔᲑᲘ...

გუშინწინ მოსკოვში შედგა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მატჩი ამ შეჯიბრების ლიდერს — იტალიის ქალაქ კანტუს „ფორდსა“ და ცსკა-ს შორის. მატჩის ბედი ბოლო წამებზე გადაწყდა. გაიმარჯვეს არმიელებმა — 78:77 (35:37), რომელთაგან ყველაზე შედეგიანი იყო მიშკინი — 27 ქულა (სტუმართაგან რივა — 30).

• • •

მოსკოვის „დინამოს“ კალათბურთელმა ვაჟებმა კორაჩის თასის გათამაშების მეოთხედფინალურ ტურნირში რევანში აიღეს ესპანეთის ქალაქ ბადალონას „ჰუვენტუდთან“ შეხვედრაში— 108:99 (54:57). გამარჯვებულთაგან ყველაზე შედეგიანები იყვნენ ბირიუკოვი — 36 ქულა, ფესენკო —23 და ჟიგილიი — 17. ესპანელთა შორის გამოირჩეოდნენ მარგალი — 18 და გედი —16. ახლა მოსკოველებს 5 შეხვედრაში 3 გამარჯვება აქვთ.

• • •

მოსკოვის „დინამოს“ მეტოქე ბელგრადის „პარტიზანი“ შინ დამარცხდა „მონაკოსთან“ შეხვედრაში — 91:102 (48:55). 5 შეხვედრის შემდეგ „პარტიზანსაც“ 3 გამარჯვება აქვს, ნახევარფინალის საგზური ბევრადაა დამოკიდებული მოსკოვის „დინამოსა“ და „პარტიზანის“ შეხვედრის შედეგზე. ეს მატჩი მოსკოვში გაიმართება 2 თებერვალს.

• • •

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასისთვის მოასპარეზე 6 გუნდის ფინალურ ტურნირში მადრიდის „რეალმა“ ზაგრებში დაამარცხა ადგილობრივი „ციბონა“ — 110:89 (54:49).

• • •

ამავე ტურნირის ქალთა გუნდების მეოთხედფინალურ ჯგუფში რიგის ტტტ-ს მეტოქეებმა პრაღის „ვისოკე შკოლიმ“ და საფრანგეთის „ანიერმა“ ითამაშეს პრაღაში. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 87:53 (47:30). ახლა ამ ჯგუფში ლიდერობს რიგის ტტტ, რომელსაც 4 მატჩში 4 გამარჯვება აქვს.

• • •

რონკეტის თასის მეოთხედფინალური ჯგუფის შეხვედრა ბუდაპეშტის „ტუნგსრამსა“ და ბელგრადის „პარტიზანს“ შორის დამთავრდა უნგრელთა გამარჯვებით — 92:73 (57:41). ამ ჯგუფში ახლა პირველ ადგილზეა მოსკოვის ოლქის „სპარტაკის“ ქალთა გუნდი.

რედაქტორი ა. ბასილაია.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით
საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29. ИНДЕКС 66435 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 უე 07408